

F 24
1888



თ ე ა ტ რ ი

საყოველ-კვირად სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელსა

№ 28

მარტომ ბისტვის 14.

გაზეთი ღირს: ერთს წლ. 5 მ.,
 ნახევ. წლ. 3 მ., ცალკე № 15 კ.
 ხელის მოწერა შიილეხა:
 თბილისში, რედაქციის კანტორაში.
 ფოთში ბესარიონ კალანდაძესთან.
 ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის:
 Тифлисъ, въ редакцію газеты
 „ТЕАТРЪ“. გაზეთი ისუიდე-
 ხა: თბილისში, ჩარკვიანის წიგ-
 ნის მაღაზიაში; და ბ-ნი ხიდდეველ-
 თან — გოლოვინის პროსპექტზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერი-
 ლები (გორცესპონდენცია) გარევე-
 ლით უნდა იყოს დაწერილი. თუ სა-
 ჟიროება შიიონოვს წერილებს რე-
 დაქცეა შესაწორებს. რედაქცია არა
 კისრულობს წერილების უკან გაგ-
 ზავანას და მათ შესახებ მიწერ-
 მაწერას.
 ყოველ წერილში უნდა იყოს
 მოხსენებელი: სახელი, გვარი და
 საცხოვრებელი ადგილი დამწერისა


99

რედაქციისაზან

ვისაც გახ. „თეატრი“ ნახეპარ წლითა ჰქონდათ
 გაწერილი, იმათ ვადა შეუსრულდათ, ხვედრი ნომ-
 რები სრულიად გაეკსავნათ და ამისათვის
 შემდეგი ნომრების გაგსავნა მოესპათ.

სტენის მოყვარულნი ხშირად მოგუპართავენ სოღამე სსკა და სსკა
 ჰალაქებიდამ და დაბა-სოღალებიდამ თსოვნით: მცხოვრებლები გვთსო-
 კენ წარმოდგენის გამართვას, ჩვენ დიდას სიამოვნებით დავაკმყო-
 ფალებდით მთსოვნელების სურვილს, მაგრამ ჰიესუბი არა გვაქსო
 და თუ მოგუპოვებდეთ რამე ადვილად წარმოსადგენი ჰიესა—გვა-
 თსოვეთ. ამის გამო განვიზრასეთ „თეატრში“ ვებქლოთ ჰიესუბი
 და შემდეგ, სოგი მათგანი გადავებქლოთ ცალკე წიგნებად.

«თეატრიდამ» გადავებქლილი ჰიესუბი გაზეთის ხელის-მომწერთ
 იათუ ფასად დაუთმოხათ.



ახალი ამბები

ამ თვის ექვსს, როგორც ქვევითაც არის მოხსენებული, ახალ-ქალაქში სცენის მოყვარულთ წარმოადგინეს „ბაიყუში“ — ცეკარლია. ამ პიესაში თალიკოს როლს თამაშობდა მ. ჯაფარიძისა. ეს ქალი თავის დღეში სცენაზე არ გამაჟულა, მაგრამ თალიკოს როლი მშვენიერად წარმოადგინა. გასპარ ტურ-ფუქს-საეტიანცის როლს თამაშობდა თ. ე. თარხნიშვალი და ცოტა სომხურ კილოს ვერ ჰხაძედა, თორემ სხვაფრივ არა უშედა რა... დრამატულმა საზოგადოებამ, რომ ითაყვას და სხვა-და-სხვა სოულებში წარმოდგენები მართოს, ბერეს კარგს, სცენის სასარგებლო აქტიორს ქალს და კაცს იშოვის.

— რადგან თეატრზე დაიწყეთ ლაპარაკი, მეტი არ იქნება ორიოდ სიტყვა კიდევ ვთქვათ. სულ კერა ნახევარი და დარჩა ზამთრის სეზონის დაწყებამდე და ჩვენი დრამატული საზოგადოების ჩამო-ჩუპიც არსად იამის. თუკა დარბაისელმა „იერიამ“ შარშანდღლივით კადეც დაგვარწმუნა(?), რომ დრამატულმა საზოგადოებამ ზამთრას რეპერტუარი უკვე შეადგინა ახალი პიესებისაგანაო, მაგრამ ძალიან ვიჭენეულებთ „იერიის“ სიტყვების სიმართლეში. დიდის სიხარულით მივევებებით იმ დღეს, რა დღესაც „იერიის“ სიტყვების სიმართლეს საქმით დავეიმტიკებენ, მაგრამ არა გვჯონია. შარშან კიდევ გამოჩნდა ისეთი პირი, რომელიც ათამდე ახალ პიესას აძლევდა დრამ. საზოგადოების კომიტეტს და პირობას უდებდა მთელი რეპერტუარის თავისი როლებით მომზადებისას ექვს თუმნად, მაგრამ კომიტეტმა არ ისურვა ეს, რადგან ის პირი, ცოტა არ იყოს რო არ ევითნავებოდათ კომიტეტის ზოგიერთა წევრებს. შემდეგ კი, როცა სეზონი დაიწყეს — არც ერთი პიესა არა ჰქონდათ მზათ და როლებს წარმოდგენის დღეს ურიგებდნენ აქტორებს. ეხლაც გვჯონია, რომ საქმე ისევე ისეა, თორემ აღდგომა და ხელო — საქმე გამოაჩენს. რეჟისორიც იშოვის თუ არა არაფინ იცეს, მაგრამ ან კი როგორ იშოვიან, როდესაც ჰგო-

ნიათ, რომ თუ არ კომიტეტის წევრი, რეჟისორად არავენ ივარგისებს. იქნებ ასეც იყოს! იქნებ რაც ქართველებში კარგი რეჟისორებია სულ კომიტეტის წევრებათ იყვნენ ამორჩეულნი, მაგრამ შარშანდღემა სეზონმა რადგან დაგვიმტყიცა, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლიან საქმის რიგიანად წაყენა, ისეც გარეშე პირი უნდა მონახონ, სანამ დრო არის და სცადონ იქნებ სხვამ უფრო გააკეთოს საქმე. თუმცა კი ანდაზის: «ლუკმა ვაყარდეს, ჯამში ჩაყარდეს» გადახვევა ზოგს არ უამება, მაგრამ მეტი ღონე არ არის... იმედი გვაქვს რომ შეიღი-რვა თუმნისათვის თვეში შარშანდელივით თავებს არ შეირცხვენენ.

— როგორც „კავკასს“ შეუტყვიან, თბლისელები აპრობენ ამ ცოტა ხანში გამართონ სახალხო სეირნობა აღექვან დრეს ბაღში, „წინამძღვარიანთ კარის სკოლის“ სასარგებლოდ. ღმერთმა ხელი მოუშალოთ. იმედია, რომ თანამგრობი ბევრი გამოჩნდება და ვისაც როგორ შეუძლიან შეეწევა ამ სასარგებლო საქმეს.

— როგორც მკითხველებს მოკსენებათ, ქალაქის მმართველებმა გამოიყვანეს აქვალის წყალი ნასესხები ფულებით. წამოგვადეს კისერზე ვალები და, რადგან სხვა საქმეებს ვეღარ გასწედა ჯიბე—შემოიღეს ახალი გადასახადება, სხვათა შორის ქალაქში გასასყადად მოყვანილ საქონელზედაც დაადეს ბაჟი. კიდევ გამოიანგარიშეს ამ ბაჟს რამდენი უნდა შემოეტანა მაგრამ ეხლა კი ჩივიან, რომ გამოანგარიშებულზე ძალიან ნაკლები შემოსილია...

ჩვენ მოგახსენებთ კიდევ, რომ «ცოტა კი არ შემოდის», ძალიან ბევრი შემოდის, მაგრამ ქალაქის კასსაში კი ცოტა ჩადის: მორეკილ საქონელზე რომ ფულს ართმევენ—კვიტანციებს აძლევენ. შემდეგ მიღის საქონლის პატრონთან ვილაც „მაკლერი“ და კვიტანციებს უკანვე ართმევენ. მერე მიაქვს ეს კვიტანციები და სხვა საქონლის პატრონს (ვისაც ახლად მოუღის საქონელი და ჯერ ბაჟი არ მიუტყია) ნახევარ ფასად აძლევს. ამაში საქონლის პატრონი, რა აკვირვებია, იგებს

და ღწერთიც შეარგებს, მაგრამ კარგი კი იქნებოდა გავგოთ ეინ არიან ეს „მაკლერები“, თუ არ თეითონ უპრაეის აგენტების მონახევერე—ამხანაგები.

— სოფ. ხოელის მასწავლებელი თ. ნიკო თარხნიშვილი გეტხოვს გამოეაცხადოთ, რომ ელიზავეტა იაკოვლენა კოლდენინისას, დროებით ახალქალაქში მცხოვრებელს, გარდაუცია მისთვის ათი ევზემვლიარი დავით სოსლანის თხზულებისა: „სცენები მიროვოი სუდაასთან“, სოფელში დასარიგებლად. მასწავლებელი თარხნიშვილი დადს მადლობას უძღენის ამ უცხო ტომის ქალს ქართელოთ საქმის თანაგრძნობისათვის.

— თბილისის ოლქის სასამართლოში, ამ თვის ოცდაათს დანიშნულია გასარჩევედ საქმე სურფ-ნიშნის ეკლესიის მღვდელი ტერ-არაქელ აკოფოვი აზიზიანცისა და ამაზასვე ელიტერგილიანცისა. ამ ორმა შეადგინეს ისეთი დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მუღდლუსა ორბელოვი ვითომ მემკვიდრეა იმ ოპანეზა ორბელოვისა, რომელიც გარდაიცვალა ინდიში და რამდენიმე მილიონი ფული დაჩა. ეს ტყუილი დოკუმენტები მღვდელს აზიზიანცს მიუყოდნია პოლკოვნიკი იაკოფა ლაზარევისათვის თხუთმეტ თუმნათ და კიდევ ჩამოურთმეეია ისეთი ვალდებულობის ქალადი, რომ როდესაც ლაზარევი მიიღებდა ორბელოვის ქონებას, მაშინ ხეთასი თუმანი კიდევ უნდა მიეცა აზიზიანცისათვის.

ინფანტა

(ბალლადა ბონეურიდამ)

(დასასრული*)

III

იანო გადაეხეია გრაფინიას; ხანგრძლივის კოცნის შემდეგ საწოლ ოთახისკენ გასწია, ხმა არ ამოუღია. გრაფინია თან გა-

*) იხ. „თეატრი“ № 27.

ედენა. იანომ საწოლი ოთახის კარი მიიხურა და თავის ოთხი თვის ბავშს კოცნა დაუწყო, რომელიც დედის ძუძუებში ჩახუტებული ცალის თვალთ მამისკენ გაიყურებოდა, თითქო მამისა ეშინიანო; თითქო ამ უმანკო ქმნილებამაც იგრძნო რაღაც, თავზარის დამცემის მოახლოებაო. მაგრამ ყრვამ ანგელოზივით გაიღიმა, ფუნთუშა ხელებით დედის ძუძუებს პატუნი დაუწყო და გაუგებელის ენით ლულუნი მიართო. მხნეობასაც ბოლო მოელო. გრაფმა მეტად თავი ველარ შეიმაგრა და დიდრონ თვალეზიდამ ცრემლები გადმოყარა.

— ცრემლები, იანო! რას წინააგენ ეს ცრემლები? რაღაც უბედურებაა შენს თავზედ და არ მიმხელო! რისთვის, რა მიზეზით განრისხდა შენზედ მეფე?!

გრაფ იანომ შეიმაგრა ცრემლები, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მისცა. გრაფინია გულში ჩაეკრა ქმარს და ხელებზედ კოცნა დაუწყო. მითხარი შენი კავშიანი, ჩემო სიცოცხლე; გაუყავი მწუხარება შენს ერთგულს ცოლს! ნუ თუ შენ, რომელსაც ამდენი მხიარულება მოგინიჭებია, არ გინდა შენს მწუხარებაში წილი დამიღო? არა ჩემო საუნჯეე, უნდა მითხრა, რაც გაწუხებს! ევედრებოდა გრაფინია. გეფიცები ღმერთს, ღეთის მშობელს და ჩვენს ერთად ერთს იმედს—მიშას, რომ სიკვდილი ათასჯერ ძირჩეენია—გაუგებარის მიზეზით ტანჯვას...

გრაფინიას ტანჯვა იანოს გულს უწყლავდა, გრაფინიას მარგალიტი ცრემლები ხელებზე ეცემოდა.

— ტანჯვით სიკვდილი იმას, ვისაც ამ გვარი სიკვდილის ბრძანება შეუძლია—სიკვდილი მძვინვარე მეფეს! წარმოასთქვა საშინელის ხმით იანომ.

— ახ, მე მაინც არაფერი არ მესმის შენი! მე მაინც ვერ გაეგე რას წინააგენ შენი სიტყვები(!) სიცოცხლეს გაფიცებ მითხრა—რა არის ის საიდუმლოება, რომელიც ბნელ-უფსკრულივით ნეტარების გზას გვიღობავს?!

— რა არის?! საქმეც ის არის, რომ სათქმელათაც ძნელია. ოჰ, ღმერთო ჩემო! რა არის!.. შენ მეკითხები განა? მაშ გეტყვი: შენ უნდა მეფის ბრძანებით ამაღამ მოგკლა და ინფანტაზედ ჯვარი დაეწერო... აი რა არის! განა ამაზედ უსასტიკესი ტანჯვა,

წაზება კიდევ იქნება?! ოჰ, წვეულმც იყოს შენი ბრძანება, შე ბარბაროსო!..

გრაფინია შეერთა ამ საზარელი სიტყვების გაგონებაზედ, ფერი ეცვალა და გულ-შემოყრილი ქეის იატაკზედ მკვდარივით დაეცა. იანო მივიარა თავის საყვარელს ცოლს, გულში ჩაიკრა მისი ცივი ხელები, აიყენა, რბილ სარეცელში ჩააწვინა და თვლებში კოცნა დაუწყო.

IV

ღმერთს არ უნდოდა მისი სიკვდილი. მწუხარება სიკვდილზედ უმწარესია. გრაფინია გონზედ მოვიდა და ევლრება დაუწყო თავის ქმარს:

— იანო! განა შენ უნდა მოჰკლა შენი საყვარელი ცოლი?! ნუ მომკლავ, ჩემო ძვირფასო იანო, ნუ! მე გჩვენებ გზას, რომლითაც შეგექლება გვექცე მეფის ბრძანებას და მის ბარბაროსულს სურვილს: წამიყენე მამა ჩემთან, იმას გაგიყვით ვუყვარვარ. იქ თავისუფლად გაეზრდი ჩვენს პაწაწინა მიშას. მიშას ჩემსავით ვერაფერ ვერ შეიყვარება, იანო! მას ვერაფერ ვერ მოუფლის ისე, როგორც მე! მე ისევ სიკვდალამდის შენი ერთგული დავრჩები, როგორც ვიყავი. შენთვის ვილოცავ, ოღონდ კი წამიყენე მამა ჩემთან და ნუ მომკლავ! იანო, გვევლრები ნუ მომკლავ! გვევლრები მამა ჩემთან წამიყენო!..

— ეს შეუძლებელია, ჩემო სიცოცხლე! შუა ღამე სრულდება. საცაა შეფესაგან გამოგზავნილი კაცი მოვა შესატყობად: შესრულებულია მისი ბრძანება თუ არა?

— არა, იანო, მე დარწმუნებული ვარ მოსაკლავად არ გამომეტებ! სიკვდილს არა სჯობია საპყრობილეში ჩამსვა? იქ, დარწმუნებული იყავ, ჯაფრი მომიღებს ბოლოს; თორემ შენი ხელით სიკვდილი—არ გვარი ტანჯვა იქნება, იანო!.. როცა ამ სიტყვებს ამბობდა გრაფინია, საწოლს თავის კარებიდამ ხმა შემოისმა: „კრავ იანო, შუა ღამე შესრულდა! მეფის ბრძანება შესრულებულია, თუ არა? თუ გრაფინია მკვდარია, შეიწყნაროს უფალმან მისი სული; თუ არა და დროა წაიკითხოს ამა სოფლის გამოათხოვი ლოცვა და გამოესაღმოს საქაოს!“



— ახ! ამოიოხრა გრაფინიამ ამ სიტყვების გაგონებაზედ; შე არ შემძლიან, ლეთის მშობელთა, ლოცვა. სიკვდილი ა. მ. მძიმს; მიმძიმს და მტანჯავს შენი ღალატით, იანო! ნუ თუ შენ უნდა შენის ხელით მომკლა? ნუ თუ შენ უნდა წამართვა სიცოცხლე, მხოლოდ იმისთვის რომ მეფემ გიბრძანა!.. იანო, იანო დაფიქრდი! მაგრამ, ა'ა, მართალი ხარ! გიბრძანეს და უნდა მოიქმედო! გაბატონს ღმერთმან განკითხვის დღეს. მხოლოდ ნება მომეცი გამოვცხოვრო იმათ, რაც ოდესმე მკვარებია და ცხლაც მიყვარს: მშვიდობით ჯერ გაუფუჭრქენელო ვარდებო! მშვიდობით ბალო, მშვიდობით აუზო! შეინახეთ თქვენი ჩემდამი სიყვარული, როცა საყვარელი ქმარი დაეწყებას მიმცემს. მშვიდობით ჩემო ანგელოზო! მომეცი ბავშვი, იანო, მომეცი, ერთხელ კიდევ მივიკრა გულზედ. დეე, უკანასკნელათ მაინც მანუგეშოს მისმა აღერსმა! დეე, უკანასკნელათ მაინც დალიოს დედის რძე. დალიე, შეილო, დალიე რძე სასიკვდილოთ მომზადებულის დედისა. დღემდის შენ გყავდა დედა, ხვალ-კი გეყოლება დედინაცვალი—მეფის ქალი. . აქ ვერ შესძლო სიტყვის გაგრძელება და კვლავ იატაკზედ დაეცა.

— გრაფ იანო, კარი გააღეთ; გრაფ იანო, ნუ მოჰკლავთ თქვენს ცოლს, გამოგზავნილი ვარ მეფისაგან და პატიების წერილი მომაქვს. გრაფმა კარები გააღო და საშინლათ შეკრთა, როცა მის წინ მდგომი ინფანტა დაინახა.

საკათედრო სობოროდამ ზარების ხმა მოისმის. ღმერთო, ვინ მოკვდა, ვისთვის რეკენ გლოვის ზარს?! მოკვდა წუთის სოფლისთვის და საუკუნოდ გამოესალმა სააქაოს მეფის ქალი: ინფანტა მიდის მონასტერში. ღმერთმა არ მოინდომა მეფის ქალისათვის სათნოებით სავსე ცოლ-ქმარის გაყრა! ბნელს სენაკში საუკუნოდ დამარხა ინფანტამ თავისი სიყვარული.

ი. სენაკელი.

ი მ ე დ ი

ერთი მიზრძანეთ, ამ სოფლად კაცსა
რა ასულდგმულებს იმედის მეტი,
რომ ეს იმედი მას დაეკარგვის
თვით გენიოსიც კი ხდება რეტი.

ცხოვრების გზაზედ უბედო კაცი
ბევრგვარ ვაებით დატვირთულია,
მაგრამ იმედით სულსა იმხნეებს
იმიტი სცოცხლობს დაჩაგრულია.

ხვალის იმედით დღევანდელს ტანჯვას
უძლებს და იტანს მოლოდინითა,
ჰფიქრობს რომ ხვალე კეთილს მოუტანს
და ვაახარებს ჩაგრულს გულითა.

მაშ რით იცოცხლოს დღეს უბედურმა
თუ არ იმედით ხვალინდელისა
წართმევა მისი რომელიმე მხრით
მართლიე მოსპობაა მის სიცოცხლისა.

ადამიანი მღეთისა ხატება
უმანკო გრძნობით შემკობილია,
სრულებით ჰკარგავს სულის სიმაღლეს
თუ სრულად იმედ დაკარგულაა.

მაშ ნუ წაერთმევთ მომავლის იმედს
თუ გესურს რომ კაცი არ გახდეს მხეცი,
ვინც ამა მკნებას მტკიცედ არ იცავს
იცოდეთ არის გონებით ბეცო.

ქაიხოსრო გელოვანი.

ქართული თეატრი

მარიამობის ექვს, სცენის მოყვარულთაგან სოფ ახალ-ქალაქში იყო გაპართული წარმოდგენა იმ ქალთა სკოლის სასარგებლოთ, რომელთაც კნ. მ. ე. ორბელიანის თაოსნობით არსდება. წარმოდგენაში, სხვათა შორის მონაწილეობა მიიღეს ქ. გა. ბუნია-ცაგარლისამ, ი. ცაგარელმა და ა. ნებიერიძემ. ჯერ წარმოდგინეს „ბაიყუში“—ცაგარლისა; შემდეგ ბ. ნებიერიძემ წიკითხა სცენები ხალხის ცხოვრებიდან და გაბ.-ცაგარლისამ იმდერა სხვა და სხვა სამღერალები. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა და მაყურებელნი კმაყოფილნი დარჩნენ. შემოსავალი ექვს თუმნამდე იყო. წარმოდგენის შემდეგ ქ. გაბ.-ცაგარლისათვის უნდა მიერთმეყინათ ბ-ნი ქართველიშვილისაგან გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც იმ საღამოზე მოელოდდენ თბილისიდან, მაგრამ რადგანაც, რალაც მიზეზის გამო, ვერ მიიღეს, თავიუღლი მხართვეს და ვახშმის წინ, რომელიც კნენა ბ. მ. თარხნიშვილის სახლებში იყო გამართული, წაუკითხეს შემდეგი „აღრესი“, რომელსაც სიტყვა-სიტყვით მოვიყვანთ:

„დიდი ნიჭის პატრონი მხოლოდ მაშინ სდგას უმაღლეს წერტილზედ კაცობრიობის ცხოვრებაში, როდესაც დიდ ნიჭს მოსდევს დიდი გულკეთილობაც. ამ ორივე საუნჯით ისეა დაჯილდოვებული ბუნებისაგან ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარელისა, რომ ჩვენ ქართველ საზოგადოებისაგან არის ჩაწერილი იმ სასარგებლო წევრების სიაში, რომლის სახელობითაც დღეს ასე ამაყობს ჩვენი ქართველობა. დღეს ჩვენი პატარა ახალქალაქის საზოგადოება მით არის ბედნიერი, რომ თავის თვალთ ხედავს როგორც თქვენს დიდ ნიჭს, აგრეთვე თქვენ გულ კეთილობასაც ნატალია მერაბის ასულს. ნიშნათ პატრის ცემისა მოურთმეყია ჩვენ საზოგადოებას სახსოვრათ, როგორც საუკეთესო ჩვენი სცენის მოღვაწისათვის, საუკეთესო ჩვენი მწერლის თბზულება.“

ალექსანდრე მალალაშვილი, ნინო სპეგარელიძისა, კნ. ბარბარე თარხნიშვილისა, კნ. ნინო თარხნიშვილისა, კნ. ელისაბედ თარხნიშვილისა, თ. ნიკოლოზ ლუკას ძე თარხნიშვილი და კნ. ნატალია თარხნიშვილისა.

შუნაშური გახმოვა

(თარგმანი)

კომედიის ერთ მოქმედებად.

(გავრქელება*)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს უ თ ე

ივინივე და ანიუტა

ანიუტა. თქვენ მიბმანებთ?

ჩაროვისა. ჰო, ყურბი მიგდე. (კორნეეს) უპარწავათ.

კორნევი. ანაფერს, ანაფერს.

ჩაროვისა. (ხელს) ამას კარები შესცვლია, ჰგონია რომ გვერდ-
 ზედ სორისტკასთან არის.

ანიუტა. მამ გავაგდოთ.

ჩაროვისა. არა, ეგ არა ზი ეს ასი თუმანი, მე დაწმუნებუ-
 ლი ვარ, რომ შენ კარგათ მოასვენებ (ელანაწკება ჩუმი).

კორნევი. (წამოვა წინ) რა კარგი რამ არის, თქვენი ჭირიბე.
 არა, განა მე ვერ მოვხერხებ ამასთან არშეიუბას? თუ ის კარშიყუ-
 ბა, მე რაღა ვარ. ის თუძცა მდიდარია, მაგრამ მე რომ იმსე სხალ-
 გასდაცა ვარ და ლამაზიც ეს ანაფერია? არა, უნდა როგორმე ავე-
 ტორდილალო.

ჩაროვისა. მისკდი რაც გითხარი?

ანიუტა. (მიბრბის ფულებით) ბატონი ბმანდებით, მოვასვენებ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ე ქ ვ ს ე

ჩაროვისა და კორნევი

ჩაროვისა. დიდხანს არ მოგინდებთ ღოდნა.

კორნევი. მეწყინა, სწორე გითხრათ, თქვენთან, ჩემო ლამა-
 სო ლიდიკა, თქვენს ასლ... თქვენ სომ ლიდა გქვანთ?

ჩაროვისა. არა!

*) იხ. „თეატრი“ № 27.

კორნევი. აფსუს, ესეც კარგი სასულია! მაგრამ როცა იქნება გავიგებ, მაგრამ ე...ე .. უკაცრავათ, მგონი არც მე ვაგინდობივართ, ანდრეი მისაილინი კორნევი. არტილერიის ავიაციით ნამყოფი გას-
 ლაკარ, კანბიტანი ატსტაკეში, უცოდლო, დასანიშნავი ყმაწვილი კაცი, სრულებით თავისუფალი, სულებში თავის დღეში არაფერი საქმე არა მქონია, ლიტერატურაში დიდი სასული მაქვს. მამა. შაბუელი არა მაქვს რა, მაგრამ მანინ ბუერს ვშოულობ, თუმცა უფრო მეტს ვქვამ, ჩვეუ-
 ლებთან მაქვს. გულით ძალიან კეთილი ვარ, არაფერი ეშმაკობა არ მაქვს, რომ იტყვიან ცხვარიო, სწორეთ ჩემსედ არის ნათქვამი. სა-
 შინლათ მეჯავრება ზრანსკა და რაღაც ცერემონიები, სადაც უნდა ვიყუებ, სადაც უნდა მივიდე, კარებში დამხვდება ჩატრელებული შვიცა-
 რი—ვიცი საცა ვარ და ვისთან. ძალიან მეჯავრება რაღაც თავის გა-
 მოდება, კვენსა და თითქმის, ცოტა არ იყოს, მშიშარცა ვარ.

ჩაროვისა. მშიშარა? არა, მაგას კი ვეღარ დაგიჯერებთ!

კორნევი. გარწმუნებთ. კურდღელი ბუჩქში სომ მოგაგონდებ-
 ბათ... მაგრამ თქვენისთანა ქალებთან კი სულ სხვა არის: აქ ღონე და
 სამხნევე ერთი ორად შემატება, რაღაც თავისუფლობასა ვე მნობ; მე
 აქ არ შემიწინაა, არ შემიწინაა და ზირ და ზირ ვეტივე თქვენს
 სამშენიერეს, რომ ანდრეი მიწაილინი იღუბება, ჭკარგავს თავის
 დამშვიდებულს გულს. გეფიცებით, თქვენ სწორეთ ისეთი ხართ,
 როგორსაც მეუბნებოდა ხოლმე სანდასან ჩემი ფაქირი, მაგრამ აჭამდის
 კი არსად მენასა; მე მზათა ვარ გთხოვთ ხელი.

ჩაროვისა. ხელი?

კორნევი. დანს ხელი, მარცხენა ხელი

ჩაროვისა. განა კერე მოვწონვართ?

კორნევი. არ შემიძლიან გამოვთქვა როგორ მომწონსართ და
 თუ ნებას მომცემთ...

ჩაროვისა. რა, რა?

კორნევი. გაკაცებთ (ჭკოცნის ზირსედ).

ჩაროვისა. მოწყალო ხელმწიფე, თქენი სუმირობა ძალიან
 შოაშ მიადის.

კორნევი. მე სულაც არა ვსუმირობ, ნამდვილის გულით ..
 თუ არა გკერათ შემიძლიან გავიმეორო (ჭკოცნის).

გ ა მ ა ხ ვ ლ ა მ ე შ ე გ ი დ ე

ივინივე და ანიუტა

ანიუტა. (შემოსულისს) უიჰ!

კორნევი. აბა, რა გაუვირებთ, თქვენ სომ არა გპოვნით?

ჩაროვისა. ბრძევი!

კორნევი. თქვენ სჯავრობთ?

ჩაროვისა. სირცხვილი თქვენთვის, ჰატოისან ხალხს ეგრე არ

მოქტევიან.

ანიუტა. აი წერილები.

ჩაროვისა. გადაეცი ამ ბატონს.

ანიუტა. (აძლეკს წერილებს) რაგორ არა გტყუნიან?

კორნევი. (ხელა) რა არის, რა გნა, ხომ არ შეგტამე?

ჩაროვისა. ხომ მიიღეთ რასაც ელოდით, შეგიძლიანთ მი-

ბძანდეთ.

კორნევი. თუ ძარტლას სჯავრობთ—ბოდიშს ვითხოვ.

ჩაროვისა. თავის დღეში. (ანიუტას) ანიუტა, გაუნათე და

გაცილე ეს ბატონი. (გადის სასწაროთ მარცხნივ).

გ ა მ ა ხ ვ ლ ა მ ე რ გ ე

კორნევი და ანიუტა.

ანიუტა. აბა, რა მოხდინეთ ეგა, ჰა?

კორნევი. არ შემიძლიან უიშისოთ, თქვენმა მშემ. თავისი ბრალა, რათ არის ისეთი კარგი. ესლას თქვენც გაკოცებთ და უნდა გაწეინოთ?

ანიუტა. ძალიან მეტს ნებას აძლევთ თქვენს თავს, უნდა იცოდეთ ვისთან რაგორ მოქტეთ. მაგისთანები აი, იმ ხორისტკასთან შეგიძლიანთ ჩაიღინოთ, გკურდით რომ დგას.

კორნევი. რაო, რაო?

ანიუტა. უეკლას როდი უნდა შეადაროთ ვიღაც დებორინისას, რომელთანაც უეკლას თავის თავი საკუთარ სახლში ჰტონია.

კორნევი. მოათმინე, რაგორ? განა მე კი საათში დებორინისას არა ვარ? (მძებრე) რომელიც...

ანიუტა. რასაკვირველია, არა!

კორნევი. მაშ ვინ არის ეს ქალი?

ანიუტა. ნადეჟდა გასილიუკვა ჩაროვისა,

კორნევი. იჰ! სემუან ნიკოლაევიჩის საცოლდე? (იქით) მართ-
ლა და რა ნამდვილი სულელი ვუფილგარ, ეს რა ჩავიდინე?

ანიუტა. თქვენ მარჯვნივ უნდა შესულიყავით და არა მარცხნივ;
მეორეც ესა, ჯერ კარგათ, ნამდვილათ უნდა გაგვეოთ ვინა სდგას აქ
და მეტე შემოსულიყავით.

კორნევი. კრიჭან, აი სათახალა, მე კი ვაკოცე, ჭა? არა, უნდა
უკანვე დაუბრუნო ჩემი კოცნა. ქალა, არ შეიძლება აქ დაუძისოთ
ქალბატონს?

ანიუტა. რა დროს დამასება. თქვენ გაბძანება გთხოვეს აქედ-
გან.

ჩაროვისა. (კულისუბიდან) ანიუტა! ანიუტა!

კორნევი. (იჭერს) თუ ღმერთი გწამთ, ნუ წასვალთ; იქნება
თითონ გამოვიდეს, ბოდიში უნდა მოვითხოვო. თუ ღმერთი გი-
უყვართ ნუ გასვალთ

ანიუტა. გამიშვით, კარგი, მე იქით გავალ (უჩვენებს შუა კა-
რებს გამოქცევა და გავა).

კორნევი. ღმერთმანი და ეს რა სულელურ მდგომარეობაში
ჩაკვარდი, არ ვიცი რა მოვიქმედა... მგონი მოდის.

გ ა მ ე ხ ვ ლ ა მ ე ც ნ რ ე

იგივე და ჩაროვისა

ჩაროვისა. ანიუტა, ანიუტა! როგორ, თქვენ ისევ აქა ხართ?

კორნევი. (შერცხვენილი) ქალბატონო, მე, მე .. მქონდა შა-
ტივი... ე. ი. თქვენ... თქვენ .. დიას, დიას, თქვენ გქონდათ შა-
ტივი .. სემუან ნიკოლაევიჩის დასაღება თქვენთან... არა, უგარცხვათ,
თქვენთან არა... მაგრამ მანინც .. თქვენ..

ჩაროვისა. სსვ რა გნებამთ? (უჩვენებს კარებს) გთხოვთ!

კორნევი. მე თქვენთან წინახდმდეგობა გავწიე, მე თქვენ გა-
წყენინეთ... მე მქონდა შატივი... ესე იგი გავბედე და თქვენს მშვე-
ნიერს სასესე ვემთხვიე... ღმერთო მამატიე! ღმერთმანი არ ვიცი რას
გამბობ და რას არა.



ჩაროვისა. თქვენმა მეგობარმა სსკვაც ხომ არა დაგვანდათ რა? გორნევი. არა, პატონო, სსკვა არაფერი. უს, ღმერთო, რომ მაგონდება ეს რა სისულელე ჩავიდინე, ისე მრცხვენთან, ისე მრცხვე-სთან, რომ მგონი; შენება უბრალო დაგვიკრათ თავი და...

ჩაროვისა. როგორ, მისვლით ვინცა ვარ?

გორნევი. ჩემდა სსუბედუროთ .. არა, ჩემდა-სსუბედუროთ ვი არა, ჩემდა-სსამწესაროთ. ეჰ, ჩემდა სსბედნიეროთ მე თურმე თქვენთან ვლანარაკობდი, მაშინ როდესაც ჩემი თავი ვილაც სუთ თემთან სორისტკასთან რგონა. მე ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემსედ ტყუილი და ცუდი არა გეგნებათ.

ჩაროვისა. სუ სწუხდებათ, ნამდვილი არაი შევადგინე. თქვენი ბოდიში სულ უბრალოა; არაფერს არ გიშეუღიანო (რგვს წარს).

გორნევი. მანცა და მანცა... გველაფერი ეს... იმედი მაქვს... ე. ი. რასაკვირველია, დამნაშავე ვარ. მაგრამ... რაც უნდა იქოს...

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ა თ ე

იგინივე და ანიუტა

ანიუტა. მე მიბძნებთ?

ჩაროვისა. ამის იწით კარები რომ აღარ შეეცვალას — გაუნათე კიბუმიან.

გორნევი. სსჭირთ არ გასლავთ, სუ სწუხდებათ, თქვენმა სი-მშენიერემ გამინათა კიდეცა და გამინათლა კიდეც თითქმის; ნასვამ-დის (გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ა თ ე რ თ მ ე ტ ე

ჩაროვისა და ანიუტა

ჩაროვისა. მადლობა ღმერთს. თავის დღეში აღარ მიიღო გვ სულელი, გესმის! მე მაგისტთან ბრეიკების თავი არა მაქვს და კარც ავიტან მაგ ნაირ სისულელეს. აბა მითხარი როგორ მიგიღო იმ ჭაღმა.

ანიუტა. არაფერი, არც-კი შეწუხებულა არაფერსე. რამწამს ვუთხარი სიმეონ ნაკოლაევიჩი ცოლს ირთავს მეთქი და წერილებს

გთხოვთ—მაშინვე აიღო და მომცა. ასე მგონია დაჩუქულია... მაგრამ ერთი პირობით კი, რომელსედაც უმჯობესია უნდა დაუყოლოდა. ჩაროვისა. რა პირობა?

ანიუტა. შესანიშნავი ანაბეჭი, სისუფილე; იმას ვუსურს, რომ ორი სიტყვა მაინც მიწეროთ მადლობის მაგიერი, რადგანაც სიხარულიანათ ვაქცევით.

ჩაროვისა. რის გულისათვის? როგორ, მე იმას მიწერო?

ანიუტა. და რა უშავს, წერილის მიწერა სომ არ მოგინდებთ, მხოლოდ ორი სიტყვა, მე დაუპირდი, თორემ იქნება არ ძველს.

ჩაროვისა. დაუპირდი! მამ კარგი. (სწერს და მერე კითხულობს) „დიდათ გმადლობთ“. საკმარისია ორი სიტყვა?

ანიუტა. ჩემთვის სულ ერთია, მე კი ჩემს სიტყვას ვაჯიხულებ და.

ჩაროვისა. (სდებს წერილს კონკურტში, ზევიდგან აწერს ადრესს და აძლევს ანიუტას) კარგათა სდგას სასლში?

ანიუტა. ისე რაღა, არა უჭირს რა.

ჩაროვისა. ას, ნეტა კი წამეკითხნა წერილები და სხვა არა მინდოდა რა, ვინ იცის რამდენი ფიცი... რამდენჯერ ეყოლება დარწმუნებული, რომ იმას მეტი არავინ უყვარს და, ეს ვინ იცის, რამდენი სხის საიმეოვნებს რაღაც ას თუქნათ ისუიდას უკან... უჰ, რა სამაგლობაა! ღმერთო, განა კიდევ იქნება რამე ამ კაცებსედა უმეზავსია.

ანიუტა. ისინი ჭალებზე ამბობენ მაგას.

ჩაროვისა. მამ სირცხვილისგან მაგასე მეტი რაღა რჩებათ სათქმელათ. ას, ნეტა კი წამეკითხნა და! (ხარის ხმა ისმის) კიდევ ვიღაცაა; არავინ არ მიიღო, გესმის! უთხარი რომ შინ არა ვარ, ვათა ვარ, ერთი სიტყვით, მოიგონე რაც გინდა (მიდას მარცხნივ).

(შემლევი იქნება)

ზ ა ს ა რ თ ო ბ ი

ბასმარკის სახელი მთელ დუნაზე გავარდნილი. ერთი ნიდერლანდელი ექიმი, რომელსაც ძალიან ბევრი უმოგზავრობა, ამბობს, რომ ამერიკის და ჯესტრალიის მიერუბულ ალაგებშიც კი იციან და

ასსუნებენ ბისმარკის სასულსაო. ზოტ-სანდში მე შევსკდოო არბებს, რომლებიც ცდილობდნენ ვირები მოეჭირაკებინათ, ან მოეყინათ ჩემთვის ზედ შესაჯდომათ. ყველა თავის ვირს აქებდა; ვირებს სსვადა-სსვა გამოჩენილი კაცის სასულეები ერქვათ. მაგალითად ერთს ვირს გლადსტონი ერქვა. გამოვიდავებ შოტის ერთი ცამეტი წლის ბიჭი იყო, რომელმაც ყველას გადააჭარბა ყვირილით: «ჩემი ვირი იყო დეო, ჩემ ვირზე უკეთესს ვერ იშოვით, სასულიც კარგი აქვს—ბისმარკი». აბა სასულიც გავარდნასაც ამას ეტყვიან აი!

მეორად ნაყადი სუმრობა. ნიუ-იორკის სასტუმროებში წესად არის მიღებული, რომ ვისაც ჭსურს ბიჭმა გადავიძოს, — სასტუმროს მდგომურთა სიაში, თავის გვარის ზირ-და-ზირ უნდა აღნიშნოს: ამა და ამ დროს გამაღვიძეთო. ერთი გერმანელი ძალიან სუმრობის გუნებაზე ეოფილა და ერთ საღამოს ყველა მდგომურების გვარების ტკბრდზე დაუწერა: „დილის სამ საათზე გამაღვიძეთო“. ღამის სამ საათი რომ შესრულებულა, ბიჭს დაუწევია სტუმრების ღვიძება. მდგომურებს შეჭმინებიათ, ჭკონებიათ სასტუმროს ცეცხლი კვიდება და ზერანგის ამარ კარში გაცვიენულან. შემდეგ გაუგიათ მხარულე გერმანელის სუმრობა და სასამართლოში უჩილათ. მოსამართლეს ცხრა ას თემნამდე გადაუსდვიინებია ხალხის შეწუხებისათვის.

~~~~~  
**რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნემირიძე.**  
 ~~~~~

~~~~~  
**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**  
 ~~~~~

სტენები „მიროვი სუდასთან“ — დაფით ხოსლანისა დაბეჭდვად ცალკე წიგნებად და ისეილება „წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთ საწეობში და ბ-ნი ჩარკიანის წიგნის მალასიაში. პიესა დირს 13 კაპ. კაპ. „თეატრის“ ხელის მომწერთ დაეთობათ ორ შაურად. ჭლანქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ ღვირბული ფასი ფოსტის მარკებით გამოგზავნან.